საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული სარეფორმიანი პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნოპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნავა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 315

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი ოქტომბრის 11

1922 წ.

ტფილ. ფასი 50ცს მან. ▭ პროვინს. 5000 მან.

ოთხშაბათს, ოქტომბრის 12, საღამოს 5 საათზედ, ქალაქის აღმასკომის გინაზედ ეუნდგება ბნდომა საბალნო განათლების სექციისა.

განსარჩევია სერიოზული საკითხები და ამიტომ წევრების დასწრება სავალდებულოა.

2—1 მდივანი: ხუნდაძე.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

მუდანიის კონფერენცია იყო შედეგი იმ შეთანხმების, რომელსაც მიაღწიეს მოკავშირეებმა ახლო აღმოსავლეთის საკითხში 23 სექტემბრის ნოტის სახით. ქემალ-ფაშას ძალვა-მოსილმა მსვლელობამ მოკავშირეები დააფიქრა და მოკავშირეების ენით დაიწყეს ლაპარაკი. მთელი რიგი მუხლებისა, რომელსაც ყენებდნენ მოკავშირეები თავიანთ ნოტაში ოსმალეთის მიმართ, ნათლად ამტკიცებდა იმ გარემოებას, რომ ისინი სევრის ხელშეკრულების გადასინჯვას შეუდგენენ და დათმობის გზას დაადგენენ ოსმალეთის საკითხში. მაგრამ კერზონ-ოფ კელსტონმა დაბალი ტონით დაიწყო დიპლომატიური ნოტების წერა და ქემალ-ფაშასთან საუბარი იმ მოსაზრებით, რომ დრო მოეგო და მშვიდობიანი გზით დაბრუნა ოსმალეთის ხალხის კისერზედ დიდი ბრიტანეთის მონობის უღელი. მთელი პროგრამა პარიზის თათბირისა მიმართული იყო იმ გეგმით, რომ შეესუსტებინათ ქემალ-ფაშის ძლევა-მოსილი მდგომარეობა და დრო მოეგოთ სტრატეგიული პუნქტების გასამაგრებლად. აღნიშნული ნოტა დეტალებით მოითხოვდა ნეიტრალური ზონის ხელშეუხებლობას და ჩანაკის მოკავშირეთა ხელში დატოვებას. ეს გეგმა გამოწვეული იყო ფრანგ-ინგლისელ სტრატეგიული მოსაზრებით ჩანაკის დაპერეთა და ნეიტრალური ზონის ხელში ჩაგდებით ქემალ-ფაშას საშუალება ეძლეოდა მარმარილოს ზღვის აზიის სანაპიროებიდან ძალიერ შეეფიწროებინა ბრიტანეთის სანხედრო ესკადრა და მოხდენილ შემთხვევაში გადაეხსნა ჯარი ევროპის სანაპიროებზედაც. ასეთი გამარჯვებული მდგომარეობის შექმნა ოსმალეთისათვის და მის ხელში მთავარი სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩაგდება დიდ საფრთხეს უმზადებდა ინგლისს მეტონობას. ამიტომ მთავარი ყურადღება და გეგმა ინგლისისა მიმართული იყო ამ სტრატეგიული პუნქტების შენარჩუნებისაკენ. დაპირებანი, რომლითაც გამოდიოდა ადნიშნული ნოტა ოსმალეთის მიმართ და რომელიც გამოიხატებოდა კონსტანტინოპოლის, ფრაკიის მარცამდე და ანდრიანოპოლის ოსმალეთზე გადაცემაში, მხოლოდ დიპლომატიური მანევრი იყო, რომ შეეჩერებინათ ქემალის მოძრაობა და დრო მოეგოთ. სრუტეების თავისუფლება და მათი ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ დაყენება, ოსმალეთის ერთა ლიგაში მიღება და სხვა მრავალი, ახალი საშუალება იყო ანტანტის მხრით, რომლითაც ის სცდილობდა ოსმალეთის დამონებას.

თანამედროვე პოლიტიკას ქმნის რეალური ძალა. ვინც ამ ძალას მოკლებულია და შეიწროებულს მდგომარეობაში იმყოფება, ის მოჩვენების ენით არის იძულებული ლაპარაკოს. ინგლისს სურდა ასეთი კრიტიკული მდგომარეობიდან თავი დაეღწია და მოძებნილ ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზედ გამარჯვებულის ტონით დაიწყო ლაპარაკი.

მაგრამ მუდანის კონფერენციამ გამოარკვია, რომ ოსმალეთის სრულებით არ აპირებს ახალ ანკესზედ წამოგებასა და ცდილობს თავისი რეალური ძალა გამოიყენოს ეროვნული სუვერენიტეტის აღსადგენად. როგორც ირკვევა, მუდანიის კონფერენციის დროებითი შეჩერების მიზეზი იყო ისმეტ-ფაშას ულტიმატუმი გენერალ გარინგტონის მიმართ, რომელშიაც ქემალისტები მოითხოვდნენ ფრაკიის ევაკუაციას ბერძნებისაგან და დაწესებას ოსმალების სამოქალაქო ადმინისტრაციისას. ნაუფლის ცნობა ადასტურებს იმ მოსაზრებას, სადგური, საიდანაც ვჭყობილობთ, რომ საფრანგეთის პრინციპიალურად არავითარი საწინააღმდეგო არა აქვს რუსეთის ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ; აგრეთვე ლოდონ კერზონი სავსებით იზიარებს პუანკარეს შეხედულებას რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე მონაწილეობის შესახებ. დიპლომატია ეხება გამოსავალ გზას; მის წინ გარდუვალი კითხვები არის წამოყენებული, რომელთა გვერდის ავლა მათ არ შეუძლიათ; საჭიროა ზავის ჩამოსაგდებად მოკავშირეებს სურთ ორი კონფერენციის მოწვევა: ერთის სტამბულში, მეორესი კი ერთა ლიგის ხელმძღვანელობით. ამ უკანასკნელმა გააქარწყლა რუსეთის მონაწილეობა.

ყველა ეს ცხობები ჯერ გამარკვეული არ არის ოფიციალურად და შეუძლებელია წინ და წინ იმის თქმა, მიწვეული იქნება თუ არა რუსეთი კონფერენციაზედ.

მაგრამ გაცხოველებული მ ჯელობა პრესაში და დიპლომატიურს წრეებში იმის მაჩვენებელია, რომ ანტანტას ადარ ძალუძს საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები უარყოს სრუტეების საკითხში და მათდა დაუკითხავად გადასწყვიტოს ეს საკითხი. საბჭოთა რესპუბლიკები დღეს საერთაშორისო პოლიტიკის ერთ უდიდეს ფაქტორს წარმოადგენენ და მათი ინტერესების გარეშე შეუძლებელი არის რაიმე დიდი საკითხის გადაჭრა. სრუტეების საკითხი რეალურად ვერ გადაწყდება და ახლო აღმოსავლეთი ვერ ეღირსება მშვიდობას, თუ ამ გადაწყვეტის დროს ფეხქვეშ იქმნა გათელილი საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესები. ეს კარგათ ესმის ევროპის დიპლომატიას. დღეს ახლო აღმოსავლეთის ვითარება ხშვიდობიანს პერიოდში შედის და დიპლომატია ამუშავებს უმთავრესად თავის საშვიდობო იარაღს. ამიტომ თუ ანტანტას სურს მშვიდობიანობის ადდგენა ახლო აღმოსავლეთში, მან შემარიგებელი ენა უნდა მონახოს ჩვენს რესპუბლიკებთანაც. როგორც ოსმალეთის მიმართ მოლოს და ბოლოს ინგლისიც დათმობის გზას დაადგა, ისე საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ ის იძულებული ხდება გამონახოს მშვიდობიანი ურთიერთობის გზა. დღეს გაცხარებული ბრძოლა არის კაპიტალისტურ სხვადმწიფოთა შორის რუსეთის ბაზრის დაჰყრობის საქმეში. ინგლისი ყველაზედ მეტად არის დაინტერესებული ამ საქმეთ, რომ არ დაეპყროს ამერიკამ და არ გამოიდინოს ის რუსეთის სფეროდან. მაგრამ საშეოთა თანამრობამ უარი სთქვა მოეწონებინა ურბარგისა და კრასინის წინასწარი ხელშეკრულება. იმ პოლიტიკის გამო, რომელსაც დაადგა ინგლისი რუსეთის მიმართ ახლო აღმოსავლეთის საკითხში. ამ ვარიანტ გამწვავება მდგომარეობისა ახლო აღმოსავლეთში იწვევს გამწვავებას სხვა სფეროშიაც. ეს გარემოება აიძულებს ინგლისს სხვა გზა გამონახოს. კერზონის გაცხადება ამის დამამტკიცებელი ფაქტია.

მაგრამ ანტანტა ე	c მოხერხებული გზის არჩევა მოინდომებს: მისი მთავარი მიზანია ოსმალეთის დამშვიდება და მასთან მორიგება. ის იცდება უპირველესყოვლისა ოსმალეთთან გაბას მშვიდობიანი კავშირი და ამის შემდეგ ხელგამგრეებულმა დაუწყოს ლაპარაკი რუსეთს. ცალ-ცალკე ოსმალეთთან და რუსეთთან ხელშეკრულების დადება,— ეს იქნება ანტანტის პოლიტიკის მთავარი ხაზი, თუ მან მოისურვა საბჭოთა რესპუბლიკებთან მოლაპარაკება საერთოდ. ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულების ნიადაგზე ის აიძულებს საბჭოთა რესპუბლიკებს მეტი დათმობაზედ წასვლას.

ეს გარემოება გვაიძულებს უფრო მშვიდრო კავშირის დამყარას ოსმალეთთან და შეთანხმებულად გამოსვლას ყოველს კონფერენციაზედ. ამას მოითხოვს როგორც ოსმალეთის, ისე საბ. რესპუბლიკების ინტერესები.

Sanus

ქურნალ—გაზეთებიდან

სრუტეების შესახებ. სრუტეების საკითხებთან დაკავშირებით ემიგრანტების პრესა ეხება მათვის საინტერესო ისტორიას. ყველას ახსოვს სრუტეებზე შეტევა ინგლისის ფლოტის მსოფლიო ომის დაწყების დროს. უკანასკნელად გამოქვეყნებული ყოველგვარი თეორი, ყვითელი და ცისფერი წიგნები და აგრეთვე სპარლამენტო გამომქვეყნება 1915 წ. მაისში დარდანელზე ინგლისის ფლოტის სკანდალურ შეტევის საქმის გამო, ჩერჩილის ბრძანებით, ცხადდება ამტკიცებენ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ინგლისი ხელს აწერდა რუსეთთან ხელშეკრულებას სრუტეებსა და სტამბოლზე, ამავე დროს მას მეორე ხელში დამზადებული ქონდა საფუძვლიანი რიყის ქვა მის წინააღმდეგ. გამორკვეულია რომ შეტევა დარდანელზე მოხდენილი იყო „ყოველი შემთხვევისთვის, რათა წინასწარ გაეფრთხილებია რუსეთის მიერ სტამბოლის დატაცება შავი ზღვის მხრით. ეს ცნობა პიკანტიური და მასთან მტკიცედ თანადროული არის.

„დარდანელის საკითხი“

„იზვესტია“ № 216-ში მეთაური წერილში ეხება ახლო აღმოსავლეთის საკითხს და სრუტეების ირგვლივ შექმნილ მდგომარეობას.

გაზეთი ადნიშნავს, რომ ეხლახან პარიზში დასრულებული ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირმა გამოააშკარავა ის ფაქტი, რომ რუსეთის გარეშე და რუსეთის წინააღმდეგ სურთ სრუტეების საკითხის გადაწყვეტა.

გაზეთი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჯაროდ ინგლისისა და საფრანგეთის შეთანხმება, რადგან როგორც ევროპის ეკონომიური ადდგენა არის შეუძლებელი ამ ორი სახელმწიფოს შეთანხმებით, ისე პოლიტიკური საკითხების და განკუთვნებით სრუტეების საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია მხოლოდ მათი თანხმობით.

გაზეთი ადნიშნავს, რომ რუსეთის არ დაშვება მომავალ კონფერენციზე ნიშნავს არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლასაც, რადგან იგი იზოლაციაში იქნება მოქცეული კონფერენციაზე და მხოლოდ ამ აზრით შეიძლება აიხსნას ჯორჯის თანხმობა პუანკარეს წინადადებაზე ამ საკითხში.

ანტანტის სახელმწიფოები ცდილობენ სრუტეების საკითხი გადაწყვიტონ წინააღმდეგ რუსეთისა და ოსმალეთისა და შავ და ხმელთა შუა ზღვა გახადონ ვითომდა ინტერნაციონალურად ერთა ლიიის ზედამხედველობით. ამიტ ისინი ცდილობენ, რომ დაიფარონ ევროპა ომისაგან. ყოველივე ეს კი უდრის თამაშსა და ხუმრობას, რომელიც იქნება მომავალი კონფერენციის ხეედრი. გაზეთი ფიქრობს, რომ ოსმალეთი არ მიიღებს მონაწილეობას მომავალ კონფერენციაში რუსეთის გარეშე, რადგან ის დიპლომატიური საფუძველი, რომელიც უკვე გამოიმუშავებულია უდრის აზიის ხალხთა მონობას და ოსმალეთის ყმად გახდომას იმპერიალიზმის წინაშე.

ბრძოლა ადგილობრივ მცხოვრებთა ესპანეთის იმპერიალიზმთან. მაროკოს ამბები იქცევს ყურადღებას ესპანეთის პოლიტიკურ წრეებს შორის. კაბილების ხელმძღვანელმა აბდ-ელ-კერიმმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ესპანეთის ჯარს, მან წაიყვანა 4.000 ტყვე ესპანელი ჯარის-კაცი და თხოულობს გამოსაყიდლად თითო ჯარის კაცში 4.000 ფრანკს. მადრიდში მოხდა მასიური დემონსტრაცია ტყვეთა ცოლ-შვილის. მოითხოვენ მთავრობის ავანტიურისტული პოლიტიკის შეჩერებას და ტუსაღების განთავისუფლებას. ესპანეთის პარლამენტში სინდიკალისტები, სოციალისტები და რესპუბლიკანელები მოითხოვენ სამხედრო მოქმედების შეწყვეტას მაროკოში, ხოლო ოფიციერთა კავშირი დაჟინებით სდგას სამხედრო მოქმედების გაგრძელების ნიადაგზე. დაიწყო მოლაპარაკება მოწინააღმდეგეთა შორის. ხმები ამბობენ კერიმის დამორჩილების განცხადება ესპანეთის ხელისუფლებისადმი, სიმართლეს მოკლებულია. პირიქით, იგი უკანასკნელ დღეებში ახწევს გამარჯვებებს ესპანეთის წინააღმდეგ.

რუსეთს არ აქვს არავითარი საგარეო წვიდეს კაპიტულაციაზედ. ჩანჩუნის კონფერენციის დაშლის გამო, არაბული გაზეთი სწერს, რომ რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა ისეთი მტკიცე და ფრაგია, რომ მას არა აქვს არავითარი საჭიროება წავიდეს კაპიტულაციაზედ იაპონიის წინაშე, რომელსაც სურდა სახალინის ფასით ეყიდა სავაჭრო ხელშეკრულება. ასეთ აქტზედ რუსეთი არ წავა და ეს მათთვის არც არის აუცილებელი.

ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის მოწოდება. ბალკანეთის კომუნისტურმა ფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება ბალკანეთის მუშებისადმი, რომელშიაც აღნიშნულია კაპიტალის თავდასხმა და ის განსაკუთრებული პირობები, რომლითაც ბალკანეთი გადაიქცა კონტრრევოლუციის ბუდეთ და ევროპის კაპიტალი ცდილობს ბალკანეთში ახალი ომის გაჩაღებას. მოწოდება მიმართავს ბალკანეთის მუშებს ომის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და მოუწოდებს კომუნისტური დროშის ქვეშ თავის მოყრას.

ახლო-აღმოსავლეთი

მუდანიის კონფერენცია.

მდგომარეობა გართულდა.

მოსკოვი. 9 ოქტ. მუდანიაში სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ოსმალეთის დელეგაციები მოითხოვენ ოსმალეთის ჯარების მიერ ადმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაციას. თათბირი განუსაზღვრელ ვადამდე გადაიდო. მოსალოდნელია სრული განხეთქილება. მდგომარეობა რთულია, ვინაიდან ოსმალეთის მოთხოვნილებანი მიუღებელია. კერზონი გაემგზავრა პარიზში პუანკარესთან სათათბიროდ. მოკავშირეთა გენერლები დაბრუნდენ კონსტანტინოპოლში. საფრანგეთში მოლაპარაკების შეწყვეტაში პასუხისმგებლად ინგლისს სთვლიან.

ბენერალ გარინგტონს მისწერეს არ დაბრუნდეს მუდანიაში ახალ ინსტრუქციების მიღებამდე.

კონფერენცია ხელახლა გაახსნა.

მოსკოვი. 10 ოქტ. კონფერენცია მუდანიაში ხელახლა გაიხსნა. საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლებმა განაცხადეს თანხმობა ფრაკიის ოსმალეთისათვის გადაცემის შესახებ.

კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი. 9 ოქტ. ინგლისის მთავრობის ოფიციალური ცნობა ადნიშნავს, რომ მუდანიის კონფერენციის კრიზისი გამოწვეულია ოსმალეთის დელეგაციის მიერ, რომელმაც დაბატებს მისცეს მუქარის ხასიათი და განაცხადეს, რომ, თუ ოსმალეთის მოთხოვნილებანი უარყოფილ იქნება, ოსმალეთის ჯარები იერიშებს მიიტანენ მოკავშირეების ჯარების წინააღმდეგ. როგორც სჩანს ოსმალეთს, რომელმაც წარადგინა ახალი მოთხოვნილება, მხარი დაუჭირა ფრანკლინ ბუიონმა. შესაძლებელია, რომ კერზონი მიაქცევს პუანკარეს ყურადღებას ბუიონის ახალ გამოსვლაზე. ინგლისი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთი უარს არ იტყვის იმ ვალდებულებებზე, რომელიც მიღებული იქნება მოკავშირეების მიერ. მიუხედავად ოსმალეთის ახალი მოთხოვნილებისა.

რუსეთის მონაწილეობის შესახებ.

მოსკოვი. 10 ოქტ. გაზ. „ფოსიშე �itუნგი“ იტყობინება, რომ საფრანგეთი პრინციპიალურად თანახმაა რუსეთის სამშვიდობო კონფერენციაზე მოწვევისა.

კონსტანტინოპოლისაკენ.

მოსკოვი. 9 ოქტ. ქემალისტები განაგრძობენ კონსტანტინოპოლისაკენ შეტევას. ჩანაკის მახლობლად ოსმალეთის ნაწილები მიუახლოვდნენ ინგლისის ჯარებს.

სალონიკიდან და ადრიანოპოლიდან მოვიდა საბერძნეთის ორი ეშელონი. საბერძნეთის 5 კარგათ შეიარაღებული დივიზია საჭიროდ გადაიგზავნა ფრაკიაში.

— ოსმალებმა დაიგროვეს ახალი ძალები ჩანაკთან. ბრიტანეთის ჯარები დაუახლოვდენ ქემალის ქვეითა ჯარებს ინგლისელები გამაგრდენ და გაიდიდეს თავიანთი ფრონტი.

სრუტეებში.

მოსკოვი. 10 მოკავშირეებმა აცნობეს ოსმალეთს, რომ ისინი ნებას არ მისცემენ ოსმალეთს გადავიდნენ სრუ-

ტეებში სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებამდე.

კონსტანტინოპოლის ბედი.

მოსკოვი. 9 ოქ. კონსტანტინოპოლის დიდმა ვეზირმა აცნობა ანგორის ეროვნულ კრებას, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა მზადაა დაემორჩილოს კრების ნებისყოფას და გადასცეს ქალაქის მმართველობა ანგორის მიერ დანიშნულ გენერალ გუვერნატორს.

ანგორა მოითხოვს კონფერენციაზე საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობას.

რომი. ოქტ. 10 თავის საპასუხო ნოტაში, ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის შესახებ, ოსმალეთის მთავრობა გამოსთქვამს თანხმობას განაგრძოს სამშვიდობო მოლაპარაკება იმ პირობით, თუ საერთაშორისო კონფერენციაზე დაშვებულნი იქნებიან რუსეთის, უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლები, რომელნიც უშუალოდ არიან დაინტერესებული ახლო აღმოსავლეთის საკითხით.

კონსტანტინოპოლში.

ჰანოვერი. ოქტ. 10 გაზ. „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით, ინგლისელებმა განაიარაღეს კონსტანტინოპოლში ქალაქის და ნავთსადგურის პოლიციის ნაწილი.

ორი კონფერენცია.

ნიუიორკი. ოქტ. 10 მოკავშირეებს სურთ, რომ კონფერენცია გაიხსნას სკუტარაში ნოემბრის 1-ს, სრუტეების საკითხი გადაწყვეტილი იქნება მეორე კონფერენციაზე რუსეთის უკრაინის და საქართველოს მონაწილეობით, პირველ კონფერენციაზე კი დაესწრებიან მხოლოდ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ოსმალეთის, საბერძნეთის და ბალკანეთის წარმომადგენლები.

ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ

ნიუიორკი 10 ოქტ. ლონდონის გაზეთი ათავსებს წერილებს, რომელიც მიმართულია ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ მის გადადგომას, ახლო აღმოსავლეთში ცუდი პოლიტიკის წარმოების გამო.

ლოიდ-ჯორჯის გადადგომის შესაძლებლობა

ჰანოვერი 10 ოქტ. კერზონის მიერ პარიზში დადებულ ხელშეკრულებას ინგლისში სთვლიან ლოიდ ჯორჯის შემცდარ ნაბიჯად. პრესის გალაშქრებამ მიიღო მწვავე ხასიათი. კერძოთ ობსერვერი მოითხოვს ლოიდ-ჯორჯის გადადგომას. ამბობენ, რომ ჩამბერლენს მის ადგილზე წინადადებას მიიღოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

მუდანიის კონფერენცია. ინგლისი წინააღმდეგია

რომი 10 ოქტ. ვინაიდან ინგლისი წინააღმდეგია ოსმალეთის ჯარების მიერ ფრაკიის დაკავებისა სამშვიდობო კონფერენციამდე, მდგომარეობა ხელახლა გაურკვეველია და გამოსთქვამენ შიშს, რომ მუდანიის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდება.

მოლაპარაკება ხელახლა შეწყდა

ჰანოვერი 10 ოქტ. მოლაპარაკება მუდანიაში ხელახლა შესწყდა, ვინაიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლების ინსტრუქციები ზოგიერთ მუხლებში არ ეთანხმებიან ინგლისის წარმომადგენლობის ინსტრუქციებს. ამის გამო გენ. შარპი და მონტენელი გაემგზავრენ კონსტანტინოპოლში.

უცხოეთი

მუშათა დღე ბელგიაში

მოსკოვი. 10 ოქტ. ბელგიაში განზრახულია რკინის გზებზე შემოღებული 8 საათის სამუშაო დღის გაუქმება.

წითელ პროფინტერნიაკენ

რომი. „ორდინე ნუოვოს“ ცნობებით იტალიის კომუნისტ რკ. გზელთა უკანასკნელ ყრილობაზე დადგინეს, რომ რკ. გზელები საგანგებო კონგრესის მოწვევამდე რომელზედაც გადაწყვეტენ საკითხი პროფკავშირების წითელ ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ, ემხრობიან ინტერნაციონალს ინდივიდუალურად ან ჯგუფობრივად დადგინეს ადგილზე, რომ რკ. გზელები—კომუნისტები

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც ანასტასია ერისთავ-ხოშტარია გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც მადალი ნიჭის მწერალი ქალი აფრქვევს ცეცხლოვან სტრიქონებს და სწერს ქართულ ყოფის რომანებს და მოთხრობებს.

ტანჯული სახეა-ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და ტრაგიკულია მისი ბედი, როგორც მწერალის, ამ ტრაგედიაშია მისი დიდებაც. იგი ღვიძლი შვილია ქართულ ბოლების და იმიტომაც იფერფლება მადალი სული ხელოვნების სამსხვერპლოზე.

ანასტასია ერისთავ ხოშტარია დიდი პიროვნებაა. ყველას რომ თავი დავანებოთ, საკმაოა ერთი რამ გავიხსენოთ: რომანი „მოლიპულ გზაზე“. საქართველოში არც ერთი წიგნი გარდა „ვეფხის ტყაოსნის“ არ ყოფილა ისე პოპულარული, როგორც „მოლიპული გზაზე“. საქართველოში, განსაკუთრებით ქართლ კახეთში, არ ყოფილა ისეთი ინტელიგენტი ოჯახი, რომ „მოლიპულ გზაზე“ არ ჰქონოდეს და არ ყოფილა ახალგაზდა ქალი, ვისაც კი წაკითხვა შესძლებია, რომ არ ატირებულიყოს ოქროს და ქვითინოს უბედურ სიყვარულზე, დღეს აც ბევრს ტკბილ მოგონებათ დარჩათ ქვითინოს და ოქროს სახეები.

მაგრამ „მოლიპულ გზაზე“ მარტო ქვითინი და ოქროთი არა თავდება. მათ გვვარდით სდგას ჯერ კიდევ ცოცხალი და არ ვიცი იქნება სამუდამოთ უკვდავიც დიდი ფიგურა: მაკინე, ამ სახეში ჩაქსოვილი მთელი ტრაგედია საქართველოსი. ბრწყინვალე წოდების თავად აზნაურობის დეგენერატობის, უკანასკნელი დაღუპვა და სულიერი გაძარცვა ამ წრის. მაკინს სახეში გაცოცხლებულია მთელი ნეცხრამეტე საუკუნის ფეოდალური საქართველო და აქვე წამოყენებულია მწვავე საკითხი ახალი თაობის.

„მოლიპულ გზაზე“ ტეხნიკის მხრით მოიხუსტებს. ასეთი დიდი რომანი ჯერ არ დაწერილა ქართულ ლიტერატურაში.

არის ადგილები ზედმეტი, მაგრამ საგანგებოდ აქვე იპოვით იმისთანა მძლავრ სტრიქონებს, რომ შეიძლება ქართული ბელეტრისტიკაში პირველიც იყოს. „მოლიპულ გზაზე“ კაეშნიან ატმოსფეროში არის ჩასმული. მთელი რომანის შინაარსი დათალხულია და უადგილს მწუხარებას იწვევს მკითხველში: კითხულობ სტრიქონებს და სიმშვენიერე პათეტიურობით ივსება შენი გული. უახლოვდები რომანის ფინალს და ჰარმონიული მეტყველებით ურიგდები ცხოვრებას.

და ის სულთათანი, რომელიც ბაკნესა ანასტასია ერისთავ ხოშტარიამ კალშინი ძალით—არის საქართველოს რეკვიემი—სურნელ საკმეველით განსპეტაკებული.

„ბედის ტრიალი“ დი ციკო ფილბლი, ვით კედმა-მოსილი ჰაერიანი სახე ქალწულის სდგას ჩვენ წინ და შემოგვჩივის თავის ბედზე. მწუხარება და დამფიქრებელი ციკოს ცხოვრება და მწერალიც აღვიწერს მთელი სისრულით ქალის ბედ იდბალს. ამ რომანში ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ მოგვცა დიდი პალიტურობა სიტყვის და ქართული ტემპერამენტი დიდი შეგნებით.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას აქვს მრავალი მოთხრობები, მათ შორის უნდა გამოირჩეს დიდი ხელოვნებით დამთავრებული „ეკლესიის გარშემო“. ეს მოთხრობა პირველად ფილეტონებად დაიბეჭდა გაზეთ „ქართლში“ ქ. ფოთში. ავტორს თუმცა „მამა იოსების“ სათაურით მაშინ განზრახული ჰქონდა მოთხრობას „ეკლესიის გარშემო“ დაერქვა, მაგრამ მაშინდელ ცენზურამ ავტორი შეაფიქრინა, მწერალ ქალს თავის წინასწარმეტყველება აუსრულდა, დაიბეჭდა თუ არა „მამა იოსები“, სასულიერო წოდებამ დევნა დაუწყო ამ მოთხრობას. მთელმა სამღვდელოებამ „მამა იოსები“ დაინახა, როგორც დიდი პასკვილი მიმართული მათ წინააღმდეგ. დახავსებულმა კლერიკალებმა, ტაძლებისთვის რომ სულს ჰყიდიან, აღშფოთდნენ, ვინაიდან მართლაც ანასტასია ერისთავ-ხოშტარიამ მეტად მწვავე და სწორე იოსები დაუმიზნა იმ ხალხს, რომელნიც სხეულს მარხვით იმეგვავენ, მხოლოდ სულით და სინდისით ვაჭრობენ, როგორც ნამდვილი ვაჭრები, ქადგომენ კაცთ მოყვარეობას უფლის საკურთხეველის წინ, მხოლოდ მის უკან ანგარებასა და ანგარიშებს აწყვიან.

მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“-ში მოცემულია დიდი ტრაგიკული ფიგურა: მამა იოსები. მე რომ ავტორისა ეყოფილიყო წინანდელ სათაურს „მამა იოსებს“ დავსტოვებდი, ვინაიდან მამა იოსები ისეთი ცენტრალური ფიგურა, რომ ყოველივე მის გარშემო ხდება.

ქართულ ლიტერატურაში ეს მოთხრობა შეადგენია და მწერალმა ქალმა აქ მიაღწია თავის დიდი ნიჭის უმაღლეს განვითარებას. ტეხნიკა ენის, ტეხნიკა გადმოცემის, სიტყვის ფიგურალობა, მთელი მოთხრობის კომპოზიცია და ექსპოზიცია ისეა შესრულებული, რომ მხოლოდ დიდი ტემპერამენტის გამძლეობას შეეძლო იმ ნახატვრულ მიხწევამდის ასვლა, როგორც ეს „ეკლესიის გარშემო“-შია.

მამა იოსები—ეს ნაცნობი სახე ჩვენ სასულიერო წოდებაში მიუხედავთ იმისა, რომ შეიძლებოდა მისი ფოტოგრაფიული გადმოღება, რადგან ამგვარ ხალხს ჩვენში წააწყდები, თუ გინდ ყოველ სოფელში—არის ასახული ერთ და იმავე დროს რეალურ ხაზებით და ფანტასტიურობით. რამდენთაც იტალიური ფინალის სცენაში ხალხის წინ გამოდის მოსალსკი და ატყობინებს მართა გოდუნოვის და მის შვილის თეოდორეს თავის მოწამლის ამბავს. ამ ამბავის შემდეგ პუშკინმა თავისი დრამა ორი სიტყვით რეგმასკის სახით გაათავა:

„ხალხი სდუმს“ და ამ მდუმარებაში გამოხატა დიდებულმა პოეტმა მთელი ხალხის ტრაგედია.

ჩვენმა მწერალმაც ანასტასია ერისთავ ხოშტარიამ თავისი დიდებული მოთხრობა ამავე მდუმარეთით გაათავა და დიდი ტრაგედიაც ამით დასრულდა.

გავიდა წლები, დიდი ტანჯვის წლები, და ანასტასია ერისთავ-ხოშტარია ისევ იღწვის სამწერლო ასპარეზზე. ამ ორი წლის წინად მან დასწერა ახალი მოთხრობა „მიწა“. ამაზე ჯერ არას ვიტყვით, რადგან ცალკე არ არის გამოცემული. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიაზე ბევრი რამ ითქმის. ეს არის ნაწერალი ინდივიდუალური. მას უყვარს ბუნება და ასახავ კიდეც საქართველოს ბუნების ბუნება თავის ნაწარმოებში. უყვარს ქართველი ხალხი და მისთვის მზადა თავი თავისი ერის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე მიეტანოს. ანასტასია ერისთავ ხოშტარია მსხვილი ფიგურაა საქართველოს ხასთა შორის და ჩვენ ხალხს მართებს მისი ჯეროვანი დაფასება. მწერალთა კავშირმა უნდა ითავოს ამ დიდ ადამიანის პატივსაცემად იუბილეს მოწყობა.

ქართველმა ხალხმა თავის საკუთარი თვალით უნდა ნახოს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას ტანჯული სახე, რომელმაც თავისი პირადი ცხოვრება, ადამიანური მეობა, ნიჭი, სიყვარული, ყოველივე ძალა და ღონე შესწირა მას და სამაგიეროდ დადგას ის დაფნის გვირგვინი, რომლის დირსი უსათუოდ არის პატივცემული ანასტასია.

ვახტანგ გარბიკი.

ადგილი ამბები

— კოოპერატიული აღმშენებლობა. საქ. კომპარტიის ცეკას კოოპერატიულმა კომისიის და კოოპერატივთა გამგეობის მიერ მუშავდება კოოპერატიული აღმშენებლობის ძირითადი დებულებანი—საქართველოში.

— მმაჩის ანგარიშები ნახევარ წელიწადში. ამა წლის პირველ ნახევარში, ტფილისის ქალაქის აღმასკომის მოქალაქეთა მეგობრობის ჩამწერი ქვე-განყოფილების მიერ ქალაქში—[illegible] ტრაციაში [illegible] 13 [illegible]—დაბადებული, იმათგან ვაჟი არ[illegible] 750 და ქალი—584; ქორწინება[illegible] 1659, გაყრა—272 და გარდაცვ[illegible]ლება 1651, იმათგან: 936—მამაკ[illegible]ცი და 712—ქალი. აღნიშნულ ანგარიში, რომ თვეებზე გავაწესრ[illegible]გოთ, გამოვა შემდეგი:

თვე.	დაბადა.		ნახევარ წელში დაბადებულთა საერთო რიცხვის % მდგომარეობა.		მოკვდა.		ნ ე ს ი	% მდგომარეობა.
	ვაჟი	ქალი			მ. კაც	დ. კაც		
			სულ.					
იანვარი.	25	15	40	3%	163	115	278	16,8%
თებერვალი.	20	11	31	2,8%	161	121	282	17,1%
მარტი.	66	36	102	7,6%	164	135	299	18,%
აპრილი.	136	100	236	17,7%	138	106	244	14,8%
მაისი.	186	165	351	26,3%	158	107	265	16,1%
თიბათვე.	317	325	574	43,1%	152	131	283	17,1%
			100%					100%

თ ვ ე.	ჯვარის წერა.	% მდგომარეობა	გაყრა.	% მდგომარეობა.
იანვარი.	290	17,5%	37	13,1%
თებერ.	462	27,8%	43	15,8%
მარტი.	121	7,3%	48	17,6%
აპრილი.	214	12,9%	36	13,3%
მაისი.	271	16,3%	46	16,9%
თიბათვე.	301	12,5%	62	22,8%
		100%		100%

რუსეთი

ხაუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი 9 ოქტ. საბდვარგარეთიდან დაბრუნებულმა ამხ. ჩიჩერინმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა: „ჩვენ, ჰაგა, მოკავშირეთა კონფერენციები—სულ ყველაფერი ეს რომ ინგლის-საფრანგეთის ბრძოლის ეპიზოდები, ანტაგონიზმი წითელ ძალთ გამოსვლას ომის შემდეგ მოხდა ყველა ევროპაშორისო ამბებს შორის ძალიან განვითარებული საფრანგეთის სამეფოს კაპიტალი ეძებს დამოუკიდებელ პოლიტიკის ნიადაგს. მან დაიწყო თანამშრომლობის ძიება სხვა კაპიტალებთან და ეს თანამშრომლობა აიძულებს მას შეუთანხმდეს საბჭოთა რუსეთს ინგლისის წინაშე ჩნდება მატერიკაზე უძლიერესი ეკონომიური მეტოქე ამავე დროს ინგლისის მეფეობა კარგავს ოკეანეს იქით მდებარე ბაზრებს. უნიინისტები, რომელნიც მიილტვიან ლოიდ ჯორჯის გამოსაცვლელად სცდილობენ მიაქციონ ინგლისის კაპიტალის ყურადღება ინგლისის კოლონიებზე. ლოიდ ჯორჯის საწინააღმდეგოთ, რომელიც ეძებს დასაყრდნობს რუსეთში ლიბერალებია და ინგლისის მუშათა კლასის კოალიციის „გაბატონებას“ და საფრანგეთის მემარცხენე პარტიების ბლოკის ხანა იქნება. ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის გამოცდის ხანა გერმანიის კაპიტალისტებს შორის უკანასკნელ ხანებში ძლიერდება საფრანგეთის ორიენტაცია და სუსტდება ინგლისისა, სტინესის პოლიტიკის გამორკვევის გამო, რომელიც ეკონომიურად უკავშირდება საფრანგეთის კაპიტალს. გერმანიის დაჩაგრულ მდგომარეობის შედეგია გერმანიის საზოგადოების ლტოლვა რუსეთისაკენ და ჩვენი პოლიტიკისადმი ღრმა თანაგრძნობა.

შემდეგ ამხ. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ამოცანას შეადგენს საზღვრების დაცვა ბ წარმოების განვითარება. თითეული კონცესია ამტკიცებს ჩვენ პოლიტიკურ მდგომარეობას, თვითეული პოლიტიკური გამარჯვება ხელს უწყობს ჩვენი წარმოების განვითარებას.

ჩვენ, სთქვა ამხ. ჩიჩერინმა, უნდა ვიყოთ ეხლა დაინტერესებული სახალხო პოლიტიკური საკითხებით ჩვენ არ უნდა გამოუშვათ მომენტი, მზად ვიყოთ, გვწამს რა, რომ მსოფლიო ძალას, საბჭოთა რუსეთს არ შეუძლია დაუჯეველად გაუშვას ხელიდან ის როლი, რომელიც მას ეკუთვნის“. დასკვნაში ამხ. ჩიჩერინ-

სამხატვრო ქრონიკა

— **გიორგი ლეონიძემ** დაასრულა თავისი თარგმანები: „ტურანდოტ ჩინელი პრინცესა“ და „განთავისუფლება“ პიესა ვილლიერ—ლილ—ადანის.

— **ახალი დრამა.** მიმდინარე სეზონში რეპერტუარი ალ. ახმეტელი სდგამს სანდრო შანშიაშვილის ახალ დრამას „ლატავერნა“.

იგივე სანდრო შანშიაშვილი, რომელიც ამ ჟამად კახეთში ცხოვრობს, ამზადებს დასამბრეფდათ ახალ პიესას თანამედროვე ცხოვრებიდან.

— **კ. ჰამსუნი ქართულად.** კ. ტიფინაძემ სთარგმნა კნუტ ჰამსუნის პიესა „ადსავლის კარებთან“.

— **არტურ ლეონტიევ იუბილე.** საქართველოს ხელოვანთა კავშირმა და საიუბილეო კომიტეტმა შემდეგი ბარათი დაუგზავნა სხვა და სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. „წელს სრულდება ორმოცი წელი, რაც იშვიათი ერთგულობით და დუღალვი ენერგიით გასწირეს ქართველი ერის სახელს და მის გაცნობას ევროპის წინაშე ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლეისტ. ქართულ ახალ მწერლობის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია, რომ უცხოელ მწერალს ასე ახლოს მიეღოს ჩვენი ხალხის ბედი და ამდენი ეშუაოს მისი კულტურისთვის. 40 წლის განმავლობაში ბ-ნი არტურ ლეისტ სწერდა გერმანულ პრესაში საქართველოს შესახებ, მან პირველმა სთარგმნა „ვეფხის ტყაოსანი“ და აგრეთვე გამოსცა გერმანულათ დიდ ტომიანი წიგნი ქართველ პოეტების ანტოლოგიის. ამავე დროს ის განუწყვეტლივ თანამშრომლობდა ყველა ქართულ გამოცემებში.

მისი პატივისცემა—პატივისცემაა იმ დიდი ნაციის, რომელსაც ის ეკუთვნის. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი ითვალისწინებს რა არტურ ლეისტის დიდ შრომას და ამაგს ქართველი ერის წინაშე მისი 40 წლის ღვაწლის აღსანიშნავად მართავს, კვირას 22 ოქტომბერს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში იუბილეს და ამით მოგმართავთ თქვენ მიიღოთ მონაწილეობა ამ დღისთვის.

ამასთანავე გთხოვთ შეგვატყობინოთ რა სახით და როგორ. მიიღებთ მონაწილეობას—შემდეგი მისამართით: ხელოვანთა სახლში, სერგიევის ქ. № 13, მთავარი კომიტეტი. სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტის და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე **კოტე მაუწველი.**

პარტიაში

დღეს, საღამოს 8 საათზე „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. დასწრება ყველა წევრების სავალდებულოა.

კოოპერაციის გარშემო.

ცეკავშირის წერილი.

საქართ. ცენტრალურმა პროპერატიულმა კავშირის დამგეობამ შემდეგი წერილი გაუგზავნა ეიზენახში მომხდარ ინციდენტის გამო ქვემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებს:

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირს, გერმანიის მომხმარებელთა კოოპერატივების კავშირს, კომინტერნის კოოპერატიულ სექციას, ცენტროსოიუზს და ბერლინში ცეკავშირის წარმომადგენელს ამხ. მ. ყუხჩიშვილს.

პატივცემულო ამხანაგებო!

საქართველოს ცენტრალურმა კოოპერატიული კავშირის გამგეობამ მიიღო თავის წარმომადგენლისაგან (ქ. ბერლინიდან) ცნობა იმ ინციდენტის შესახებ, რომელსაც ადგილი მისცემია გერმანიის მომხმარებელ საზოგადოებათა ყრილობაზე ქ. ეიზენახში მიმდინარე წლის 19 ივნისს.

როგორც სჩანს ამ ცნობიდან და მასთან დართულ მასალებიდან, ჩვენ წარმომადგენელს გერმანიის კოოპერაციასთან ანხ. მ. ყუხჩიშვილს ჩვენი დავალების თანახმად წარმოუთქვამს ყრილობისადმი მისასალმებელი სიტყვა საქართველოს კოოპერაციის სახელით. ამავე ყრილობაზე დამსწრე სტუმრებს რუსეთის ცენტროსოიუზის წარმომადგენლებს მოქალაქე როზოვსკის და ბლიუმასს წარუდგენიათ ყრილობის პრეზიდიუმისათვის წერილობითი პროტესტი საქართველოს კოოპერაციის წამომადგენლის გამოსვლის გამო. ამ სპროტესტო განცხადებაში ისინი აღნიშნავენ, რომ საქართველოს კოპერაციას არ აქვს უფლება დამოუკიდებლად გამოვიდეს ევროპაში, რომ საქართველოს კოოპერაციას ისე როგორც რუსეთის ფედერაციაში მყოფ ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს წარმოადგენს ცენტროსოიუზ; მათვე განუცხადებიათ, რომ თითქოს საქართველოს კოოპერაციასა და ცენტროსოიუზის შორის არის დადებული ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს კოოპერაციას არა აქვს უფლება იყოლიოს დამოუკიდებელი წარმომადგენლობა ევროპაში. ამ განცხადების ავტორები, აშფოთებულან რა საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენლისთვის მათთან თანასწორი უფლების მინიჭებით, ნიშნათ პროტესტისა წასულან ყრილობიდან.

ამ ინციდენტის გამო საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა საჭიროდ სთვლის განაცხადოს შემდეგი:

მას შემდეგ რა რომ რუსეთის რევოლუციის მსვლელობაში საქართველომ მოიხვეჭა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ამიერ-კავკასიაში დაარსდა დამოუკიდებელი რესპუბლიკები (აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოსი) საქართველოს კოოპერაციის წინაშე დადგა საკითხი მისი—საქართველოს კოოპერაციის—დამოუკიდებელ კოოპერატიულ სხეულად ჩამოყალიბების შესახებ და 1919 წლის ოქტომბერში საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციათა რეწმუნებულების ყრილობამ ეს მისწრაფება ჩამოაყალიბა სათანადო წესდებაში. შექმნა რა თავისი ცენტრალური ორგანოები, საქართველოს კოოპერაციამ მიიღო ზომები რათა მას როგორც დამოუკიდებელ და თვითმყრ კოოპერატიულ ერთეულს მიეპყრობინა ადგილი საერთაშორისო კოოპერატიულ ოჯახში. ეს ცდა სასურველად დაგვირგვინდა: საქართველოს კოოპერაცია შეივიდა წევრად კოოპერატიულ ინტერნაციონალში.

ამ ოკ ნასკნელმა და საერთოდ ევროპის კოოპერაციასთან ურთიერთობის დამყარების მიზნით საქართველოს კოოპერაციამ დანიშნა თავისი წარმომადგენლები ლონდონში და ბერლინში. ეს წარმომადგენლები ეწეოდნენ კოოპერატიულ ინტერნაციონალის ყრილობებს, ისინი წარმოადგენდნენ საქართველოს კოოპერაციას ამა თუ იმ ქვეყნის კოოპერატიულ ყრილობებზე.

გასულ 1921 წლის თებერვალში საქართველოში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებამ დასვა საქართველოს კოოპერაციის წინაშე საკითხი რუსეთის და ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ცენტრებთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე და მიმდინარე წლის მაისში ქ. ბაქოში მომხდარმა ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კონფერენციამ შეიმუშავა ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა ამიერ-კავკასიის კოოპერაციის საერთო მიზნების მისაღწევი საშუალებანი.

ამრიგად საქართველოს კოოპერაცია 1919 წლიდან არსებობს, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყრი ერთეული და როგორც ასეთი იგი წარმოდგენილია საერთაშორისო კოოპერატიულ ინტერნაციონალში. მას დღემდე არ განუცხადებია უარი ამ თავის დამოუკიდებლობაზე. რაც შეეხება ბაქოს კონფერენციას, ის მოასწავებს მხოლოდ საქმიანურ კონტაქტს, მიზნობრივ შეთანხმებას და არა თუ არ ლახავს ჩვენს დამოუკიდებლობას, პირიქით—გულისხმობს და ხაზს უსვამს მას.

ერთი სიტყვით საქართველოს კოოპერაცია არ ფიქრობდა და არც ფიქრობს გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელიც შეკვეცავს მის დამოუკიდებელ არსებობასაქმიანობას.

ამრიგად ცენტროსოიუზის წარმომადგენლების შეხედულება საქართველოს კოოპერაციაზე არის აშკარა დამახინჯება საქართველოს კოოპერაციის ამჟამად არსებულ ფაქტიურ მდგომარეობისა, მისი ურთიერთობისა მეზობელ სახელმწიფოთა კოოპერატიულ ცენტრებთან.

ყოველივე ზემო ნათქვამას შემდეგ ყველასათვის ნათელია ცენტროსოიუზის წარმომადგენლთა მიერ ეიზენახში ჩადენილ საქციელის შეუსაბამობა და უტაქტიკობა.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის წარმომადგენელი გერმანიაში ამხ. მ. ყუხჩიშვილი მოვალე იყო, როგორც საერთაშორისო კოოპერატიული ოჯახის დამოუკიდებელი წევრის წარმომადგენელი, მისალმებოდა გერმანიის კოოპერაციის ყრილობას, მის მიერ წარმოთქმული სიტყვა (რომლის ტექსტი ჩვენს ხელთ არის) არ შეიცავდა რაიმე ლოიალურს რუსეთის კოოპერაციისადმი და შინაარსი სიტყვისა არ აძლევდა არავითარ გამართლებას ცენტროსოიუზის პასუხისმგებელ წარმომადგენლთა ასეთ უტაქტიკო გამოსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი არ დაყოვნებდა შესაფერი მსჯავრი დაედო თავის წარმომადგენლის საქციელისათვის და მიეცა დაკმაყოფილება შეურაცხყოფილ მოძმისათვის.

სჩანს, რომ ასე არ მსჯელობს ცენტროსოიუზი. იგი ამრიგად არ უყურებს კოოპერატიულ ორგანიზაციათა ურთიერთობის მორალს, რომ იგი მიუხედავად ამ ინციდენტის შემდეგ კარგა ხნის გასვლისა, სრულებით არ სთვლის საჭიროდ დაპგმოს თავის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი საქციელი და შეურაცხყოფილ კოოპერატიულ მოძმეს მისცეს დაკმაყოფილება.

კოოპერატიული სალამით:

ქართ. ცეკავშირის გამგეობა.

ინოსტრანცევის ლექციები

მართალია ეს ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ამას ჩვენ კვლავ აღვნიშნავთ იმიტომ, რომ სტუდენტთა ამ მდგომარეობის მიხედვით არ არის განაწილებული უნივერსიტეტის ლექციების განრიგება. როგორც ვიცით, დილით ლექციების მოსმენა არ შეუძლია სტუდენტთა აბსოლიუტურ უმრავლესობას, თავისი სამსახურის ასრულების გამო, ამისთვის ფრიად სასურველი იყო, საერთო ხასიათის საგნებში ლექციები იკითხებოდეს არა დილით, არამედ საღამოებით, რათა ყოველ სტუდენტს მიეცეს საშუალება ლექციებზე დასწრებისა.

დღეს კი ასე არ ხდება. უნივერსიტეტის სხვა და სხვა ფაკულტეტის ბადეში, სადაც კი გამოკრულია ლექციების განრიგება, ნახავთ, რომ მრავალი საერთო ხასიათის ლექცია იკითხება დილის საათებში იმ დროს როდესაც, როგორც აღვნიშნეთ, სტუდენტთა დიდი უმრავლესობა კანცელარიის ქუჩალდებით არის გართული.

ჩვენ გვესმის, რომ ეს ლექციის საღამოზე [illegible] ხერხდება, აუდიტორიების სიმცირის და სხვა ტექნიკური მიზეზების გამო, მაგრამ საქმის ისე მოწყობა მაინც შესაძლებელია, რომ დილის საათებში იკითხებოდეს ისეთი ლექციები, რომლებსაც შედარებით უფრო ვიწრო სპეციალური მნიშვნელობა აქვთ, ხოლო საღამოს საათები დაეთმოს საერთო მნიშვნელობის საგნებს, რომ ყოველ დაინტერესებულ სტუდენტს მიეცეს საშუალება, საღამოს მაინც შეიაროს უნივერსიტეტში და შედარებით ნაყოფიერი შედეგი მოუტანოს მისმა მუშაობამ. პროფესორთა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ჩვენ ამოძახილს, რამდენადაც შესაძლებელია.

განთარი.

ჩვენი საჭირბოროტო კითხვები

ამ საათურით წერდენ და მ[illegible]ლობდენ ჩვენი ძველები და დღესაც ჩვენდა საუბედუროდ ჩვენც ასეთივე კითხვებზედ გვიხდება წერა და მსჯელობა, რადგან ის მრავალი საჭირბოროტო კითხვები, რომლებიც ჩვენი ერის ინტერესებიდან გამომდინარეობენ დღესაც, არ მოგვარებულა, როდესაც ცხოვრებისა და ისტორიის აუცილებელმა პირობებმა ამ პრობლემათა გადაჭრა და მოგვარება უკვე რამოდენიმე წლები გადის რაც დაავალა თანამედროვეობას. ამის მიზეზები მრავალია, მაგრამ ყველაზე მეტი დანაშაული იმ ტრადიციის პსიხოლოგიურ განმტკიცებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც თანდაყოლილ თვისებად გარდაიქცა დღევანდელი ხელისუფლების მატარებელ პარტიებისათვის, რომელთაც ისტორიამ დააკისრა მესაჭეობა. თუმცა პირველმა საშინელი ტრაგედია განიცადა, რაც აუცილებლათ გაკვეთილად უნდა გამოეყენებინა მის შემცვლელს, ეს ასეც მოხდა, მაგრამ ეს ერთნაირი თანდაყოლილი ათეული წლობის განმავლობაში განმტკიცებული ტრადიცია თანდასდევს მას ცხოვრების მოგვარების დროს.

ლოზუნგები აუცილებლად პრაქტიკულ ცხოვრებაში უნდა იყოს გადაქანილი. აღნიშნულ ისტორიულათ განმტკიცებულ თანდაყოლილის თვისების იდეოლოგიურ შეცდომების ადნიშვნას არ შეუდგები, რადგან ეს ძლიერ მოძველებული თემაა, რაზედაც ჩვენ ძველებს დიდი თავის მტვრევა ქონდათ. ჩვენ ეხლა ცოცხალ ფაქტებზე უნდა ვილაპარაკოთ. დღევანდელს დროს რევოლიუციონურ მოძრაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობს რუსეთი, მთელი თავისი არსებით წამოიჭრა კლასთა ინტერესები და აგრეთვე კოლონიალურ მდგომარეობაში სულ ერთა თავისუფლების საკითხი. ჩაგრულ ერთა სამეფოთა აღმოსავლეთი. რამდენიმე ასეულ მილიონიანი ინდოეთი საშინელ ექსპლოატაციას განიცდის მასზე მრავალჯერ უფრო პატარა კულტურულსან ინგლისისაგან. ამ გვარად ეროვნული საკითხი და დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების საქმე რევოლიუციონურ მოძრაობის ერთ უდიდეს ფაქტორად შეიქმნა. ეს გარემოება შეიგნეს დიდი რუსეთის რევოლიუციის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც თავისი წარსული შეცდომა გამოასწორეს და რევოლიუციის გემი ერთა განთავისუფლების გზითაც მიმართეს. თუ მათ წითელ დროშაზე წინედ ეწერა მარტო კლასიური ბრძოლის პრინციპები, დღეს ეს დროშა გადიდებულია და ფედერალიზმისა და ერთა თავისუფლების იდეებით არის შემკული. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ თეორეტიული მოწოდებანი პრაქტიკაში ძლიერ მოიკოჭლებს: სადი ეროვნული პოლიტიკის გატარება დღეს დღეობით შეუძლებელი შეიქმნა. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს და სხვა ეროვნულ ერთეულთა სინამდვილე. ამიერ-კავკასია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული ვერ სარგებლობს იმით, რასაც მას ანიჭებს საბჭოთა ფედერაციის კონსტიტუციას მისი. ორგანოების ყოველგვარი მოქმედება ვერ სწარმოებს საბჭოთა რუსეთის გარეშე. ამის საუკეთესო მაგალითია ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთი აწარმოებს ამიერ-კავკასიაში.

ყოველი საკითხი, რომელიც დღეს ჩვენ საჭირბოროტო საკითხად ითვლება აუცილებლად ზემოხსენებულიდან გამომდინარეობს. ჩვენი საჭირბოროტო საკითხთა მთავარი იმპულსია ეროვნული საკითხი. ჩვენ ზოგითხოვთ ეროვნულ საკითხის სად გაგებას. ჩვენ არა ვართ ვიწრო ზოვინისტები, რომელთა გონება ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს ვერ სცილდება. ჩვენ მთელი ჩვენი შეგნებით ჩვენს მოკმედებას უკავშირებთ ერისა და კაცობრიობის წმინდა საქმეს. ჩვენ სასტიკ ბრძოლას უცხადებთ მენშევიკებს და მათ ამყოლდამყოლ მემარჯვენე ჯგუფებს. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელია და მასთან ერთად შესაძლებელიც. ჩვენ უნდა დავიცვათ, ჩვენი სახელმწიფოებრივობა და ეროვნული კულტურა. ქართული ენის გასახელმწიფოებრივობის საქმეს მტკიცედ უნდა ემსახუროს საბჭოთა მეშურ ბელგიური ხელისუფლება. ეროვნული კულტურის წარმატების საქმე მოგვარებული უნდა იქმნას.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით უნდა დავიდგათ ეროვნულს ნიადაგზედ და ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას უნდა მოვახმაროთ ჩვენი ენერგიის მაქსიმუმი. ერმა უნდა შეძლოს საკუთარი ფეხებით სვლა და საკუთარი ორგანოებით არსებობა. ჩვენ იმდენად მოსწყვეტილნი ვართ ეროვნულად და ჩვენი ხალხი იმდენად განვითარებულია რევოლიუციონურად, რომ ჩვენ უაპეკუნოდაც შეგვიძლია არსებობა და ჩვენივე საკუთარი თავის მოვლა. „ნაციონალიზმის გზით ინტერნაციონალიზმისაკენ“ უნდა შეიქნეს ჩვენი პოლიტიკის მთავარი დევიზი.

გ. მდივანი.

ელექტრონის სადგური

მოსკოვი 8 ოქტ. პეტროგრადში დიდი ზეიმით გახსნა ერთი უძლიერესთაგანი ელექტრონის სადგური. სადგური იმუშავებს ადგილობრივ სათბობი მასალით და ტორფით.

ურხარტთან ხელშეკრულების გამო

მოსკოვი 10 ოქტ. იმის გამო, რომ სახალხო კომისართა საბჭომ არ მიიღო ამხ. კრასინის მიერ დადებული წინასწარი ხელშეკრულება ურხარტთან „პრავდა“ სწერს: სახალხო კომისართა საბჭომ არ დაამტკიცა საკონსეციო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და ურხარტის შორის ურალში და ალტაიში 4000 კვ. ვერსის კონცესიით გაცემის შესახებ. კეთილსინდისიერი საკონცესიო ურთიერთობა მოითხოვს დროებით მაინც წესიერ პოლიტიკურ ურთიერთობას. ინგლისის მთავრობას კი არ სურს ანგარიში გაუწიოს საბჭოთა რუსეთს. ასეთ პირობებში ურხარტთან ხელშეკრულების დადება სახიფათოა. ხელშეკრულების უარყოფა არ წარმოადგენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის კურსის შეცვლას. ჩვენ გვჯერავს უცხოეთის კაპიტალის საწინააღმდეგო კურსი“.

„იზვესტია“ ამის გამო სწერს: „უარის თქმა ხელშეკრულების რატიფიკაციაზე დაუმტკიცებს მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს, რომ საბჭოთა მთავრობა არ მისცემს არავის ნებას, რომ რუსეთი კოლონიათ გადააქციონ. ლორდ კერზონის ცდა ურხარტთან დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერიდან ორი კვირის შემდეგ საფრანგეთთან ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისათვის, რომლის ძალითაც რუსეთმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა ახლო-აღმოსავლეთის საკითხების გადაჭრაში, წარმოადგენს კულმინაციურ პუნქტს ინგლისის პოლიტიკისა, რომელიც რუსეთს სცნობს, როგორც მონაწილეს ევროპის პოლიტიკაში. ინგლისს შეუვლია რა იმ გარემოებას, რომ ინგლისის პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა რუსეთის სახალოცხლო ინტერესის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთი არ დაუშვებს, რომ ინგლისის ინტერესებმა ფეხი მოიკიდოს რუსეთის სახლვრებში, როგორც გაბზარულია ხელშეკრულებაში.

პარიზიდან

ლონდონ 8 ოქტ. ინფორმაციათა სააგენტოს ეცნობა, ინგლისის ელჩი ბერლინიდან ჩამოვიდა ინგლისში. ელჩი ბერლინიდან ინგლისში ჩამოვიდა ინგლისის ელჩ

მგე ქალებმა, რომ რა დესაც სადმე საესეირნოდ წავიყვანდით ბავშვებს, ესენი პატარა მეძეურებივით დაიძვრენენ ძველებს გზებზე, მტვერში და ნაგავში. ჩვენ პირველად უშლიდით, ვინაიდან ეს მათი ქუჩური ჩვეულება ვეგონა და ალბად სახრავად თუ უნდათ თქო, მაგრამ მერმედ, როდესაც სახლშიც შემოგვაპარეს და შემდეგ ეს ნივთები წარმოგვიდგინეს ჩვენ განცვიფრებული დავრჩით და ეხლა ხელსაც კი უწყობთ ყველფერში.

ეს ფაქტი უსათუოთ საყურადღებოა და ამ ქუჩაში აღმოჩენილ ტალანტებს უქველი მზრუნველობა და შესაფერი აღზრდა-განვითარება ჭირია. ბოლოწვლე ბავშვები საამ ჯგუფად არიან დაყოფილი: პირველდაწყებითი, სასკოლო და უფროს სკოლაში სამეცადინო. ყოველ საგანს თავ-თავისი სპეციალური მასწავლებელი ჰყავს მიჩენილი, ისე როგორც სიმღერისას და პლასტიურ-კაკვეთილებისას. ამასთანავე აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიურს უმრავლესობას შეადგენენ ქომ ხები, რუსები და ქართველები, სწავლა-განვითარების ყოველი დარგი, უმაღლეს პირველდაწყებითი ჯგუფშიდაც კი სულ რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ეს უსათუოდ აღერებს სწავლის საქმეს ყოველ არა რუს ბავშვისათვის, რომელსაც ეჭირის შეთვისება იმ ენის, რომელიც მან მეშვიდე მე-8 წელზე გაიგონა აქ, ახალ ბინაში. არის დიდი უმრავლესობა ბავშვებისა, რომელთაც ჯერ შეუსწავლიათ წერა-კითხვა თავის დედა-ენაზე, ისე რომ „დედა-ენაც" კი აქვთ გაგონილი შინ, და აქ ახალი ენის შეთვისება უბდებათ სულ თავიდან და ძალიან უჭირთ, რასაკვირველია. გამგე ქალებმა თუმცა გადწმეს, რომ დედა-ენის სწავლა ყველასათვის საგალდებულო საგნათა მიჩნეულია, მაგრამ სინამდვილეში, რამდენადაც მე ეს ცალკე გამოკითხვებმა დამარწმუნეს ბავშვებთან, ეს ასე არ არის, რაც ყოველად შეუწყნარებელია, როგორც რუსიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი მომავალ თაობის აღზრდის საქმეში.

და ასეც რომ იყოს და დედა-ენას ასწავლიდენ ბავშვებს განა ეს საკმარისია? განა დასაშვებია საქართველოს რესპუბლიკებში რომ ჯერ ენაზედ ასწავლიდენ საგნებს?

პიანინოსთან ასწავლიან ერთად ყველას სხვა და სხვა რუსულ სიმღერა მარშებს, რუსულ ენაზე ინტერნაციონალს და სხვა ამ დროს არა რუსი ბავშვები სდგანან იქვე და მხოლოდ პირს ყოლებენ სიტყვის სიტყვის წარმოთქმის გამო.

ამ გარემოებას, კოლექტორნი, ეხლავ უნდა ენებს ლიკვიდაცია და ქართველ და სომეხ ბავშვებისათვის გაიხნას სპეციალური სკოლები თავ-თავიანთ მასწავლებლებით, რათა შემდეგში საქართველოს რესპუბლიკას არ მიეყენოს რუსიფიკაციით გადამახინჯებული მუმათა და ბლეხთა შვილები.

ნ—ი.

მოწმერული ამბები

გურიის ვითარება.

(საკუთარ კორესპონდენტისგან)

1

საერთო სურათი

გურია კოლხეთის თვალად იწოდება და სამართლიანადაც. დასავლეთისკენ—ლიხს გადაღმა სამხრეთის მხარეებში გურიის სილამაზე ჩრდილავს უსათუოთ სხვა მის დასამხარ ადგილებს. მართალია აქარაც არ ჩამოუვარდება გურიას სილამაზეში—პირიქით კიდეც აჭარბებს მას.

გურია ცნობილია ჩვენს ქვეყანაში, ამ სილამაზესთან ერთად რევოლიუციონურ, მკვირცხლ და განათლებულ მხარეთ. ეს მართალია. არსად, არც ერთ კუთხეში ჩვენი ქვეყნისა ვერ შეხვდებით იმდენ შკოლებს, სამკითხველოებს, რამდენსაც გურიაში. აქ გლეხობა გათვითცნობიერებულია. სწავლის წყურვილი, მისი ინიშვნელობა მათ შეგნებაში ღრმად არის ფესვებ გამდგარი, ამიტომ არის, რომ ვერ შეხვდებით ვერც ერთ ოჯახში უსწავლელ ახალგაზრდას. ეს საქმე ყველაზე მეტ აუცილებელ საქმედ არის გურიის გლეხობისათვის. უბრალო შემთხვევის ან მოგონილი ამბავი არ არის, რომ გურიაში ჩაისახა განმანთავისუფლებელი იდეები ყველაზე უწინ საქართველოში და ყველაზე მეტი მიმდევრები და წარმომადგენლები იპოვა. ამის ერთი საბუთთაგანი ისიც ივო რომ აქაური გლეხობა ადრე ჩაითრია ქალაქის კაპიტალმა და ბათომის ქარხნებში გამოწრთობილ მუშის ნებას არ შეეძლო არ გამხდარიყო რევოლიუციონერი. აქედან გახდა გურია ცნობილი და მივიდა დღემდე.

დღევანდელი მდგომარეობა. დღევანდელი მდგომარეობა მისი არც მთლად სასიხარულოა და საიმედო. საერთო ტკივილები მასაც სწვდა. ხალხი, რომელიც ასე იბრძოდა და შეხვდა მომავალს—იმედ გაცრუებულია. ბევრისთვის დღეს არ არსებობს ის მტკიცება, რასაც იწვევდა წარსული დღეები. მოხდა დიდი გადატეხა ხალხის ფსიქოლოგიაში. ეს მიეწერება იმ აურაცხელ ტკივილებს და გაჭირვეებებს, რასაც განიცდის დღეს ხალხი. დღეები მიდიან და ხალხი ელის მდგომარეობის გაუმჯობესებას ეს კი შეუძლებელი დარჩა. ყოველ დღეს უარესი მდგომარეობაა მატერიალური. რასაკვირველია ამ მდგომარეობის შეფასების უნარი აქვს გურიის მოწინავე გლეხობას ის ამ მდგომარეობას არ აბრალებს პავლეს ან პეტრეს სურვილს, მან იცის, რომ კაპიტალისტების მიერ დაწყებულმა მსოფლიო ომებმა მიიყვანა ქვეყანა ასეთ ეკონომიურ განადგურებამდე და საქართველოს სად შეუძლია მარტო გაუმკლავდეს იმ უბედურებას, რასაც მას სხვა სიკეთეს გარდა ბუნებაც აყენებს უკანასკნელ ხანებში. გურია ელის უკეთეს დღეებს, მაგრამ დღევანდელი დღეები მისთვის ჩამაფიქრებელია. მე არასოდეს არ მინახავს გურიის ესოდენი უიმედობა. ვისაც არ უნდა შეხვდე ყველა გაჭირვებულია, ფული არა აქვთ. შემოსავალიც არა. რომ ფულად აქციონ, წრეულს თხილი ნაკლები იყო, არც დვინოს ჰქონდა მოსავალი. არის ხილი: ვაშლი, მსხალი და სხვა—მაგრამ თუ ქარს გადაურჩა—მისი მოხმარაც მოითხოვს ერთნაირ პირობების შექმნას, რათა არ ჩაუვარდეს უკანასკნელი ხელში სოფლის წვრილ ფეხა ჩარჩ-სპეკულიანტებს, წელს იყო დღემდე აუტანელს სიმშილობა. აქ ბევრ სავალალო სურათებს ჰქონდა ადგილი, ხალხი ჰყიდდა უკანასკნელ ოჯახის ნივთებს ან პირუტყვს, რომ მშიერი არ მომკვდარიყო, მთავრობის დახმარება იყო, მაგრამ მეტად მცირე და არ ფარავდა მოთხოვნილებას. ბევრი ოჯახი დღეებს სრულიად უმჭადოთ ატარებდა ხილის ან სხვა რამეზე.

ამან ხალხი ჩაგდო ავადმყოფობაში. ისედაც დასნეულებული ჰაერი მალარიის ბაცილებით ველარ აიტანა მშიერმა გურულის ორგანიზმა და მთელ გურიას დღეს სწამლავს საშინელი ციებ-ცხელება. აქ დახმარება არ სჩანს, უბრალო ქინაც კი არ შეუძლია იშოვოს გაჭირვებულმა კაცმა საიდგანაც ჯერ არს. ეს კი უფრო არეულებს მდგომარეობას, ხალხი გადაშენდება—უნდა შველა.

ელი.

(შემდეგი იქნება)

თეატრი და ხელოვნება

სურამის ციხე

სხ. განათლ. კომისარიატის კინოსექციამ ეკრანზედ სჩვენებლად გადადო დ. ჭოხაძის ცნობილი რომანი „სურამის ციხე", რომელიც კიდევაც აჩვენეს რუსთაველის თეატრში სგანგგებოდ მოპატიჟებულ საზოგადოებას შაბათს ოქტომბ. 7.

სურათი დადგმული და გადაღებული ია პერსტინის რეჟისორობით. მონაწილეობას დებულობდენ ქართული დრამის საუკეთესო ძალები. ეპიზოდური სცენების დეკორაციული ნაწილი შესრულებული ია ისეთი მხატვრებისგან, როგორიცაა ლანსერე, სიდამონ ერისთავი და სხვები.

სიმართლეს ეუბნ ავღნიშნოთ, რომ სურათმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ზოგიერთი სცენები მაინც ძალიან კარგად არის დადგმული და შესრულებული. ამ რეჟ. ორივ და არტისტებიც თავის სიძ ღლეზედ სდგანან, გუჯაშვილ ბარავი დრამატიზმითია სავსე ბატონყმობის დამახასიათებელი ზოგი ადგილები, მაგ. დედაკაცის ეულში გაბმა კალოზედ, ყმის შვილების გაყიდვა და ცოცხალი ადამიანის ციხის კედელში ჩაკირვა.

კარგია ქორწილი ყანწებით და ცეკვა თანაშეთ. არ მოგვეწონა მხოლოდ „უზუნდარას" შესრულებელნი. (მგონია ხომ სულ არაფერს არ გაგდა, მაგრამ ეგ სურათს არ შეეხება). გაზვილ ჰაერზედ გადადებულ ცენებისათვის ამორჩეულია მეტად ლამაზი და შესაფერი ადგილები. ასე რომ სურათი საკმაო წარმოდგენას ძლევა ბატონ-ყმურ საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზედ და მიდამაზ ბუნებაზედ.

უნდა ავღნიშნოთ, ერთი თვალსაჩინო ნაკლი, რომელიც უნდა გამოსწორებულ იქნეს, და ეს შეხძლებელია: წარწერები ვერ არის კარგად შედგენილი და ვერ იძლევიან სურათის გასაგებად საჭირო განმარტებებს. უნდა გამოვაცალოთ, ჩვენც გაგვეპარდა ლეგენდის ხელართის გაგება და უცხოელმა რაღა უნდა ჰქნა?..

დილეტანტი.

პროვინციის თეატრები

ჩვენი ეროვნული კულტურა მარტო ერთ სატახტო ქალაქში არ უნდა აყვავდეს... პროვინცია, ეს უდიდესი ძალა და ენერგია ჩვენი ქვეყნისა უნდა ამუშავდეს. მარტო რომ ცენტრს მივაქციოთ ყურადღება და პროვინცია დავიწყოთ, ფრთა მოტეხილები ვიქნებით.

აი უკვე იწყობა თეატრის სეზონები. დიდ მზადებაშია აკადემიური თეატრი. თავის გარშემო საუკეთესო ძალებს იკრებს და სეზონის გაძღოლასაც კარგ პირობებში ფიქრობს. მაგრამ ესეთი რამ არ ეტყობა პროვინციის თეატრებს.

მთელი არტისტული ძალა ტფილისშია დაგროვილი. პროვინცია კი სრულიად გამორჩენილი და მივიწყებულია. ვინც კი მსახიობია, სულ ტფილისში მოუკალათებიათ და პროვინციაში კი არც ერთი სცენის მოღვაწე არ არი, რომელსაც შეეძლოს საქმის წინამძღოლობა და თეატრალურ სეზონის გაძღოლა.

იმისთანა დიდი და საყურადღებო ადგილები, როგორც ბათომი და ქუთაისია რჩება უმსახიობებოდ და, რასაკვირველია, რაიმე სეზონზე ლაპარაკიც ზედ მეტია. ქუთაისში და ბათუმში კი რომ არ იყოს სისტემატიურად მომუშავე დასი, არ იყოს თეატრალური სეზონი—ეს პირდაპირ ეროვნული სირცხვილია. ქუთაისი ეს ჩვენი დასავლეთის დედა ქალაქია და იქ არა ერთი ბრწყინვალე სეზონი ახსოვთ ლადო მესხიშვილის, კოტე ყიფიანის, ვალ. გუნიას სეზონები ქართულ თეატრის ისტორიაში განსაკუთრებულ ხაზებით აღინიშნება, როგორც ჩვენი დრამატიული ხელოვნების შესაძლებლობის და მხატვრული მიღწევის გამოჩენა.

დღეს კი ქუთაისი მივიწყებულია. ხოლო ბათომი, ეს დიდი ნავთსადგური, სადაც ხალხი ტრიალებს და ათასნაირი რუსული გასართობები იმართება, ქართული წარმოდგენები ან სრულიად არ იქნება, ან შემთხვევით გამვლელ გამომვლელი გამართავს. აღარაფერს ვიტყვით სიღნაღ თელავზე, სადაც თეატრალური საქმე სრულიად დაცემულია და უყურადღებოდ მიტოვებული. ასევეა ხონში, ყვირილაში, ოზურგეთში, გორში და ბევრგან სხვაგან. ეს კი პირდაპირ დაუშვებელია, რომ პროვინციის თეატრები დარჩეს უსეზონოთ და ჩვენი ხალხი სულიერ საზრდოს მოკლებული სულს ლაფავდეს ან ლოტოში ან ქალალდის თამაშში, ხოლო ახალგაზრდობა გაირყვნეს და გათახსირდეს, ვინაიდან მას არ ექნება საშუალება ნახოს თავის გონების განსავითარებელი რაიმე კულტურული საქმე. შემთხვევითი სცენის მოყვარეთა წარმოდგენები პირიქით აძულებს ხალხს თეატრს, რადგან ამისთანა წარმოდგენები მხოლოდ [illegible] ავს.

ვიდრე [illegible] და გვიანებული პროვინციას უნდა ყურადღება მიექცეს, წინაალმდეგ შემთხვევაში პროვინციის თეატრებ ს ცის ანაბარად დარჩენა, ჩვენი მხრივ, ეს დიდი დანაშაულობა იქნება.

ის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის აღწერის შესახებ.

რათა გამორკვეულ იქნეს საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქთა და ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილთა მოსახლეობის რაოდენობა და დემოგრაფიულ—პროფესიული შედგენილობა და აგრეთვე შესწავლილ იქნეს საბინაო პირობები,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოხდენილ იქნეს მიმდინარე წლის ნოემბერში, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მოსახლეობის ერთერდღიური აღწერა.

2. აღწერის ორგანიზაცია და საერთო ხელმძღვანელობა დაევალოს საქ. სოც. საბჭ. რესპ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. ქ. ქ. ტფილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათომში და ლოხუმში აღწერა მოხდეს ამა ქალაქების ხარჯზედ, ხოლო აღწერის მოსახდენად დანარჩენ ქალაქებში და აღწერის საერთო ორგანიზაციისათვის თანხა გაცემულ იქნეს საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განკარგულებაში.

4. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალება თავის დროზე გამოაქვეყნოს, როგორც ნუსხა იმ ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებულ ადგილებისა, რომლებზედაც გავრცელებულ უნდა იქნეს მოწერა, ისე თვით დღე აღწერისა.

5. ყველა საბჭოთა საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათ და პირთ დაევალებათ ყოველმხრივ ხელი შეუწყონ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აღწერის წარმატებით შესრულებას.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. **ქავთარაძე.**

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ოქტომბრის „ 7 „

დავკარგე პირადობის მოწმობა და მატრიკული, გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იესე ნესტორის ძე შაქარიშვილის სახელზე. ჩითვალოს გაუქმებულად.

327

ტფილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს

რომ ვერის ბორანზე გადასვლის ფასი ენკენისთვის 21-დან დაწესებულია

2000 მანეთი

განცხადება

ამით ქალაქის აღმასკომის

საადგილ-მამულო განყოფილება

აცხადებს ყველა დაინტერესებულ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ის

გალ-ბოსტნები, რომელთაც საიჯარო გადასახადი შემოტანილი არ ექნებათ

საადგილ-მამულო განყოფილებაში

(ოთ. № 52) ა/წ. 15 ოქტომბრამდე, ჩამოერთმევათ დღევანდელ მათ მფლობელთ და გადაეცემა სხვაზე იჯარით.

2053—2—2

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ორიანტი"

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.

საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება, ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი

ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო

მზარეულთა ზედამხედველობით.

საუზმე, სადილი, ვახშამი, საუძელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.

9—2 ფასები დაკლებულია.

ტირაჟი 1000 სტამბა „ტრიბუნა", ს. ქ. „პოლიგრაფ განყოფ." № 2 სტამბა „ოუზენტენის ქუჩა.